


შპს „ეგრის-აუდიტი“
სარ/ნ SARAS-F-596572



LTD "EGRIS-AUDITI"
REG/N SARAS-F-596572

მისამართი: ქ. სენაკი ჭავჭავაძის ქ #25 ტელ: 555 47 99 26

Adress: chavchavadze str. N25 Tel: 555 47 99 26

აუდიტორული დასკვნა

AUDITOR CONCLUSION

ქ. სენაკი
SENAKI

„13“ თებერვალი 2021

წელი
year

შპს. ტელეკომპანია „ეგრისის“ 2020 წლის
საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე

შპს. ტელეკომპანია „ეგრისი“-ს დირექტორის 2021 წლის 8 თებერვლის №5 წერილისა და ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე შპს. „ეგრის“-აუდიტის (ფირმის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-596572) აუდიტორმა ლევთერ ზოფერიაძემ სერთიფიკატი №6/254, (ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-581044), ჩავატარე შპს. ტელეკომპანია „ეგრისი“-ს 2020 წლის წლიური ბალანსისა და საფინანსო ანგარიშების საქმიანობის აუდიტი.

შპს. ტელეკომპანია „ეგრისის“ იურიდიული მისამართია ქ. სენაკი ახალგაზრდობის ხეივანი №9; საქმიანობის სახე – ტელემაუწყებლობა.

რეგისტრაციის თარიღი 30 ივნისი 1977 წელი, რეგისტრაციის №56/4-11 სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ.

მინიჭებული აქვს საინდივიდუალური კოდი 239861592

ანგარიშსწორებას ახორციელებს „ლიბერთი ბანკი“

ანგარიშის № GE80LB0113134754564000

დამფუძნებელი 100%-იანი წილით და დირექტორი მერაბი ჩიქობავა.

შეფასებისას ვხელმძღვანელობდი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეკონომიკის სამინისტროსა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ინსტრუქციებით და ნორმებით.

აუდიტორული დასკვნა მოიცავს 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. განხილულ იქნა მოცემული პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის, მარაგების დებიტორ-კრედიტორების, მოგება-ზარალის ანგარიშგების აუდიტი. წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების დირექტორს. ჩვენ გვევალება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ შესაბამისი დასკვნა.

აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმდაგვარ დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, რომ შეიცავს თუ არა ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულების შემოწმებას, ტესტირების საფუძველზე ანგარიშგებაში ასახული თანხების დადასტურების მიზნით. ასევე აუდიტი გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. მჯერა რომ ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესაძენად.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ფინანსური საქმიანობის ანალიზი მოიცავს ერთ კალენდარულ წელს.

მოცემულ პერიოდში შემოსავალმა შეადგინა სულ 96167 ლარი.

მოცემულ პერიოდში გასავალმა შეადგინა 94026 ლარი.

მათ შორის: შრომის ანაზღაურება – 11624 ლარი, კომუნალური ხერჯები (ელ. კავშირი) – 600 ლარი, ელ.ენერჯიის ხარჯები – 5042 ლარი, საიჯარო ქირა – 12 000 ლარი, წყალი – 25 ლარი, შეძენილია ძირითადისაშუალება ტელევიზიის ანძა – 41916 ლარი, ოფისის აღჭურვილობა – 6500 ლარი, სხვადასხვა ხარჯები – 16344 ლარი. მათ შორის:

– ბიუჯეტის გადასახადები – საშ. გადასახადი – 720 ლარი, ქონების გადასახადი-662 ლარი, მიწის გადასახადი – 1544 ლარი, მოგების გადასახადი – 30 ლარი, სხვა დარიცხული ვალდებულებები – 2517 ლარი.

საწარმოს დაერიცხა ძირითადი საშუალებების ცვეთა 20434 ლარი.

არაფინანსური ხარჯი: საწარმოს 2021 წლის 1 იანვრისათვის ერიცხება საკუთარი კაპიტალი სულ 99952 ლარი. მათ შორის: საწესდებო კაპიტალი 2000 ლარი, სარეზერვო კაპიტალი 96026 ლარი.

საანგარიშო პერიოდში საწარმოს მოგება შეადგენს 385 ლარს.

საზოგადოების აქტივებმა საანგარიშო წლის ბოლოსათვის შეადგინა 75332 ლარი. მათ შორის:

- ფულადი საშუალება - 1304 ლარი,
- შენობა-ნაგებობა - 15183 ლარი.
- ოფისის აღჭურვილობა - 9372 ლარი
- სატრანსპორტო საშუალებები - 4005 ლარი.
- გადამცემი მოწყობილობები - 73094 ლარი.
- მიწა არასასოფლო სამეურნეო - 1593 ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით საანგარიშო წლის ბოლოსათვის სულ მიმდინარე ვალდებულებებმა შეადგინა 2994 ლარი, მათ შორის: ქონებისა და მიწის გადასახადი 2609 ლარი, მოგების გადასახადი 385 ლარი. საშემოსავლო გადასახადის საშეღავათო თანხა შეადგენს 1605 ლარს, ბალანსში ასახულია გადავადებულ შემოსავალზე.

აუდიტორული შემოწმების შედეგად მიგვაჩნია საწარმოს საფინანსო საქმიანობა სწორად არის წარმართული, რის შედეგადაც 2020 წელს გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა შეფასდა დადებითად.

შპს „ეგრის-აუდიტი“-ს სენაკის

წარმომდგენელი:  /თ. ტაბალუა/

აუდიტორი:  /ლ. ხოფერია/